ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 31 ოქტომბერი, 2019 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: მწვანეთა მოძრაობის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
2. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
3. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
4. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
5. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციცია
6. ნუგზარ უფლისაშვილი - საქართველოს ენერგო რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციცია
7. ნატო არღვლიანი - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
8. აკაკი ფანჩულიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
9. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
10. მარინა ჟორდანია - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
11. ირინა სვანიძე - მწვანე ალტერნატივა
12. გიორგი ძამუკაშვილი - ფონდი ადგილის დედა

განსახილველი საკითხები:

1. ჯგუფის ამოცანებზე და მუშაობის პრინციპებზე შეთანზმება
2. მომავალი წლის სამუშაო გეგმაზე შეთანხმება
3. ინფორმაცია რეგრანტინგის პროექტზე
4. ადვოკატირების და ლობირების საკითხები

   - სატყეო რეფორმა, ტყის კოდექსი

   - წყლის კანონი.

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, მურმან მარგველაშვილმა. მან ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად კოორდინატორმა ისაუბრეს მომავალი წლის გამოწვევებზე. ჯგუფის კოორდინატორმა აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მოსალოდნელია პოლიტიკური დაძაბულობა. ამავე დროს, ეს არის დიდი შესაძლებლობების წელი საჯარო პოლიტიკაში საღი მიდგომების, გამჭვირვალობის და კარგი მმართველობის დასანერგად.

მიგვაჩნია, რომ პლატფორმამ და მესამე სამუშაო ჯგუფმა უნდა შეძლონ წინასაარჩევნო პერიოდში მაქსიმალური მობილიზება, რათა დაუპირისპირდნენ მოსალოდნელ პოლიტიკურ პოპულიზმს, დაიცვან გრძელვადიანი განვითარების ინტერესები და პოლიტიკურ დღის წესრიგში დააყენონ ენერგეტიკის, გარემოს დაცვის და კლიმატის, ისევე როგორც დემოკრატიული განვითარების და ევროინტეგრაციის რეალური ამოცანები, არსებითად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაცია, ასევე პოზიციების გამყარება, რათა სამოქალაქო საზიგადოების ხმა მოსმენილ და გათვალისწინებულ იქნას, როგორც პოლიტიკოსების ასევე ფართო საზოგადოების, ევროკავშირის სტრუქტურების და ჩვენი კოლეგების მიერ, როგორც აღმოსვალეთ პარტნიორობის, ასევე ევროკავშირის ქვეყნებში, განაცხადა მურმან მარგველაშვილმა.

მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორებმა ჩამოაყალიბეს ჯგუფის მოქმედების ამოცანები და შესაბამისი აქტივობების ჩამონათვალი, რომელიც გადაეგზავნებათ მესამე სამუშაო ჯგუფის წევრებს რათა დეტალურად გაეცნონ და დაამატონ თავიანთი მოსაზრებები.

სამუშაო ჯგუფი, უახლოეს მომავალში, ჩამოაყალლიბებს და დაამტკიცებს სამოქმედო გეგმას.

ჯგუფის შეხვედრების ეფექტურობისთვის, შემუშავდა ჯგუფის შეხვედრების ფორმატი. ჯგუფის შეხვედრები ჩატარდება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს, შეხვედრის ხანგრძლივობა განისაზღვრა 2 საათით. შეხვედრა დაიწყება 16:00 საათზე.

მესამე სამუსაო ჯგუფის წევრებმა, მეტი ეფექტურობისთვის, შესთავაზეს კოორდინატორებს, რომ შეხვედრაზე მოხდეს ერთი გარემოს დაცვითი და ერთი ენერგეტიკის საკითხებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თემის განხილვა და პოზიციების შეჯერება.

უახლოეს მომავალში იგეგმება სექტორული შეხვედრის ჩატარება შემდეგ გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებით :

1. ტყის კანოპროექტი და მუნიციპალური ტყეების საკითხი;
2. წყლის კანონის მიღება;
3. საზღვაო გარემოს სტრატეგიის მოქმედებათა პროგრამის შეახებ.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე ისაუბრეს წყლის კანონზე, რომელიც დღემდე არ არის მიღებული. მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა. წყლის კანონი განიხილა აკაკი ფანჩულიძემ. რის შემდეგაც ჯგუფი შეხვედრაზე გაიმართა მსჯელობა აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით. ჯგუფმა ბატონ აკაკის სთხოვა რომ წარმოედგინა მოკლე შეჯამება წყლის კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელშიც ყურადღება იქნებოდა გამახვილებული საადვოკატორო საკითხებზე.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე